ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 37253564**

თარიღი:**22/12/2025**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ კვირაში ერთხელ მოქალაქეთა მიღების გრაფიკის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 117-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების გრაფიკი თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ტარიელ აროშიძე).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.#14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი